



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000073986139520

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 25

01 / ივლისი / 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2020 წლის 29 მაისს ელექტრონული აუქციონის წესით ვერ გაყიდული, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბორბლიანი ექსკავატორის კამაცუ PW 160-7-ის განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე, საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 30%-იანი ფასდაკლებით პრივატიზების, საწყისი საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 38-ე მუხლისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს, 2020 წლის 29 მაისს ელექტრონული აუქციონის წესით ვერ გაყიდული, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **ბორბლიანი ექსკავატორის კამაცუ PW 160-7-ის**, (სარეგისტრაციო მონძობა N AV0364358. გამოშვების წელი 2007, ძრავის N 21733478.) განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე პრივატიზების საწყისი საფასური:
 - საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 30%-იანი ფასდაკლებით - **105000.0 (ასხუთი ათასი) ლარის** ოდენობით.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, აღმაშენებლის ქ.N41).

